

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი

21.09.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)  
წევრები:*

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;

თუთა წარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი, პროგრამის დირექტორი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მიხეილ ჩხენკელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

მარიამ შოშიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

*საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:*

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ვიქტორ ბარამია - პროექტის მენეჯერი;

ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი;

ეკა ნარეშელაშვილი - მოდულური პროფესიული პროგრამების ჯგუფის უფროსი;  
მანანა მოისწრაფიშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის  
წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლევან ჯაყელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ყურუშაძე - ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე;

გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი.

*ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):*

თამარ კაკუტია;

თამარ რემიშვილი;

ნინო ამირანაშვილი;

ქრისტინა რზგოვეა;

ეკა ზაქარეიშვილი;

ნინო ტალიაშვილი.

სხვა დამსწრე პირები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო  
ხმის უფლებით;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო  
ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით  
დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის  
მე-4 პუნქტის თანახმად, დამსწრეთა უმრავლესობამ, ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა, არც  
საბჭოს თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე, სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს თამარ ზარანდია.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და  
დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის  
№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის  
დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება  
საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა  
დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის  
უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის  
2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების

მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 21 სექტემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული განათლების ექსპერტები შორენა ჯაფარიძე და ეკატერინე გიგაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 02 სექტემბრის №32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
4. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი საკითხების განხილვა: „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 6 ივნისის №9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №33 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების

შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა; „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა. ამასთან, წარდგენილ იქნა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის მესამე საკითხად განხილვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
  2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
  3. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
  4. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 02 სექტემბრის №32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
  5. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №31, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №8, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 6 ივნისის №9 და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №18 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
  6. „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
  7. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №33 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
  8. „სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
  9. „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.
- საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ კაკუტიამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი - მეოთხე საფეხური; მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი - მეხუთე საფეხური; მექატრონიკა - მეხუთე საფეხური; სამრეწველო ავტომატიზაცია - მეხუთე საფეხური. ექსპერტის განმარტებით, ოთხივე პროგრამასთან მიმართებით სამივე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებული იყო. თამარ კაკუტიას განცხადებით, დაფიქსირდა გარკვეული სახის ტექნიკური შეცდომები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოსწორდა. მან ასევე, აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. ცენტრში წარმოდგენილ იქნა გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. რეკომენდაციების ნაწილზე მიმდინარეობდა მუშაობა, მათ შორის ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებითაც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თითოეულ პროგრამაზე დაგეგმილი იყო 24 პროფესიული სტუდენტის მიღება, დაწესებულებისათვის მინიჭებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენის მოდულთან დაკავშირებით არ იყო დაკონკრეტებული რომელ ენას ეხებოდა, ასევე, არ იყო ლიტერატურა მითითებული. რეკომენდაცია უნდა მიეცეს დაწესებულებას, უცხო ენის მითითებასთან დაკავშირებით. ამასთან, წარმოდგენილი ხელშეკრულებები და მემორანდუმები იყო ზოგადი ხასიათის და არ შეიცავდა ინფორმაციას, თუ რომელ პროგრამასთან მიმართებით იყო გაფორმებული და რამდენი სტუდენტის მიღება იყო შესაძლებელი ამ ხელშეკრულების ფარგლებში. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების მისიაში უფრო ხაზგასმით უნდა იყოს საუბარი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მით უფრო რომ დაწესებულება ახორციელებდა 170 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაზიარებულ იქნებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ სამრეწველო ავტომატიზაციის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 24-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 24-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 24-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მექატრონიკის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 24-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30<sup>1</sup>-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

| N | პროგრამის<br>დასახელება               | პროფესიული<br>განათლების<br>საფეხური | მისანიჭებელი<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია                                                           | კრედიტების<br>რაოდენობა | ადგილების<br>ზღვრული<br>რაოდენობა | სწავლების<br>ენა | განხორციე<br>ლების<br>ადგილი                               |
|---|---------------------------------------|--------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------------|------------------|------------------------------------------------------------|
| 1 | სამრეწველო<br>ავტომატიზაცია           | მეხუთე                               | მეხუთე<br>საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>ელექტრონული<br>მოწყობილობების<br>ექსპლუატაციაში | 120                     | 24                                | ქართული          | ქ.<br>თბილისი,<br>კოსტავას<br>ქ. №77<br>კოსტავას<br>ქ. №68 |
| 2 | მაღალი ძაბვის<br>ელექტროტექნი<br>კოსი | მეოთხე                               | მეოთხე<br>საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>ელექტრობაში                                     | 70                      | 24                                | ქართული          | ქ.<br>თბილისი,<br>კოსტავას<br>ქ. №77<br>კოსტავას<br>ქ. №68 |
| 3 | მექანიკის<br>ინჟინერიის<br>ტექნიკოსი  | მეხუთე                               | მეხუთე<br>საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>მექანიკაში                                      | 120                     | 24                                | ქართული          | ქ.<br>თბილისი,<br>კოსტავას<br>ქ. №77<br>კოსტავას<br>ქ. №68 |
| 4 | მექატრონიკა                           | მეხუთე                               | მეხუთე<br>საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>მექატრონიკაში                                   | 120                     | 24                                | ქართული          | ქ.<br>თბილისი,<br>კოსტავას<br>ქ. №77<br>კოსტავას<br>ქ. №68 |

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქრისტინა რზგოევამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ამწის ოპერატორი - მესამე საფეხური; ამწის ოპერატორი - მეოთხე საფეხური; შემდუღებელი - მესამე საფეხური; შემდუღებელი - მეოთხე საფეხური; პორტების ლოგისტიკის ოპერირება - მეოთხე საფეხური; პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი - მეხუთე საფეხური; თევზსაჭერი გემის ნავიგატორი - მეხუთე საფეხური.

ექსპერტის განმარტებით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ხარვეზებიც და შემუშავდა რეკომენდაციებიც.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების 1.1. ქვესტანდარტი დარღვეული იყო. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. ასევე, დარღვეული იყო 1.3. ქვესტანდარტი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. ასევე, დარღვეული იყო 2.7 ქვესტანდარტი („საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.). ადამიანურ რესურსთან მიმართებით, 3.4 ქვესტანდარტი არ იყო დაკმაყოფილებული. დარღვეული იყო „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 19.2 პუნქტი „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა უნივერსიტეტს წარედგინება სწავლების დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში“ შეიცვალოს, ვინაიდან აღნიშნული ჩანაწერით პროფესიულ სტუდენტს ეზღუდება სტატუსის შეჩერების მოთხოვნის უფლება;

- მიზანშეწონილია, აკადემიის შინაგანაწესის მოქმედების სფერო გავრცელდეს პროფესიულ სტუდენტებზეც, ვინაიდან არსებული რედაქციით სტუდენტი განიმარტება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი. ამდენად, პროფესიული სტუდენტი სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა რჩება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 20.1 „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენით უნივერსიტეტის შინაგანაწესის უხეში დარღვევა. შინაგანაწესის არსებული რედაქციით ვერ ხდება იმის იდენტიფიცირება პროფესიული სტუდენტის მხრიდან რა ჩათვლება უხეშ დარღვევად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შინაგანაწესი უნდა დაკორექტირდეს და გაიზარდოს მისი რეგულირების სფერო;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21.13 პუნქტისა და მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების წესის მე-4 მუხლის თანახმად, მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“ №1 დანართით დამტკიცებული შეფასების სტანდარტის შესაბამისად. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს 733 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2015 წლის 13 ივლისის 492 ბრძანება. ამდენად, ზემოაღნიშნული წესები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან;

- რაც შეეხება მობილობის პროცესს, შეუსაბამობა ვლინდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის პროცედურას შორის. ამ უკანასკნელის 8.2.1 და 8.2.2 ქვეპუნქტების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აღნიშნული ჩანაწერი უნდა გასწორდეს. დაწესებულება თავად ახორციელებს მობილობის პროცესს. პროფესიული პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21.7 პუნქტის შესაბამისად აღიარების კომისიის დასკვნა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის პროექტი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. აუცილებელია მობილობის პროცესის მარეგულირებელი აქტები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან და დეტალურად გაიწეროს მობილობის პროცედურა;

- კონკრეტულ შემთხვევაში აკადემიის მიერ პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ეფუძნება მის მიერ მიღებული პროექტის ფარგლებში აღებულ ვალდებულებას (დანართი 8). თუმცა, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ამდენად, მიზანშეწონილია სამომავლოდ აკადემიამ შეიმუშავოს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია პროგრამების სპეციფიკისა და რესურსის გათვალისწინებით. სასურველია წინასწარ ჩატარდეს ბაზრის კვლევა, რათა აკადემიის მიერ შეთავაზებული პროგრამები იყოს სიცოცხლისუნარიანი. ამასთან, მიწოდება უნდა იყოს მოთხოვნის პროპორციული. მიზანშეწონილია სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია სწორედ შორმის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე იყოს მორგებული;

- აკადემიაში არსებობს მასწავლებელთა შერჩევის წესი და პერსონალის მართვის პოლიტიკა, ასევე შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება აკადემიის საქმიანობასთან, პერსონალთან და სტუდენტობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტების მიუხედავად სასურველია პროცესების შემდგომი სრულყოფისთვის ამ მიმართულებითაც გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები. მიზანშეწონილია შემუშავდეს პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგია. ამასთან, უნდა ხორციელდებოდეს თანამშრომელთა მუშაობის მუდმივი შეფასება და მათი კმაყოფილების კვლევა;

- მიზანშეწონილია აკადემიასა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის

გაფორმებული მემორანდუმები, რომლებიც ეხება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შეიცვალოს. არსებული მემორანდუმები არ არის ინფორმაციული და მათი შინაარსიდან არ იკვეთება რომელი პროფესიული პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობენ დაწესებულებები, ამასთან, მიზანშეწონილია მემორანდუმში გაიწეროს მიღებული განათლების აღიარების ნაწილში თანამშრომლობის პრინციპები;

- მიზანშეწონილია მოხდეს მოდულების და საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტაცია;
- მიზანშეწონილია, შეიცვალოს აკადემიაში მოქმედი შრომის ხელშეკრულების ფორმა.

სასურველია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს წინარე და შრომის ხელშეკრულების ფორმები. წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც დგინდება სხვა ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ამდენად, წინარე ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მოწვეული პერსონალის ვალდებულება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის შემთხვევაში პირი უზრუნველყოს კონკრეტული მოდულით სწავლების განხორციელებას. რაც შეეხება შრომის ხელშეკრულებას, შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 ნაწილი განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების არსებით პირობებს: შრომის ანაზღაურება, შესასრულებელი სამუშაო და ა.შ. აკადემიის მიერ წარმოდგენილ არცერთ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული შრომის ანაზღაურება, შრომის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შრომის ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარო მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეული და კომპეტენტური შეფასებისთვის. მისი განმარტებით, დაწესებულებამ იზიარებდა ყველა რეკომენდაციას და მოხდებოდა მათი პრაქტიკაში გათვალისწინება. რაც შეეხებოდა, დაფიქსირებულ ხარვეზებს ნაწილი მათგანი უკვე გამოსწორებულ იქნა. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელება იგეგმებოდა დაწესებულების მიერ მოპოვებული მილენიუმის გრანტის ფარგლებში. შესაბამისად, დაწესებულებას ჰქონდა გამოყოფილი რესურსები ხარვეზების გამოსასწორებლად. პროგრამებთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამების პროექტები მომზადებულ იქნა უცხოელი პარტნიორების მიერ, შემდეგ დაწესებულების მიერ მოხდა მათი გადმოთარგმნა და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა, რომელთა გამოსწორებაზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. ასევე, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე 3 წელი იყო რაც ვერ აცხადებდა გარე მობილობას, კვოტის სიმცირის გამო. ამჟამად ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდათ განაცხადი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე და მიმდინარეობდა წარმოება. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდამდე დაწესებულება გეგმავდა არსებული კვოტის, 200 პროფესიული სტუდენტის ადგილის ფარგლებში მოეხდინა ადგილების გადათამაშება. ადაპტირებულ გარემოსთან მიმართებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა საავტორიზაციო რეჟიმში იმყოფებოდა დაწესებულება და საავტორიზაციო განაცხადის შემოტანამდე სრულად მოხდებოდა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მოწვეულმა საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი და მათი გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობის გარეშე რთული იქნებოდა საუბარი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიერ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:50 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:05 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ამწის ოპერატორის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ამწის ოპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 10-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ შემდუღებლის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 27-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ შემდუღებლის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 27-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პორტების ლოგისტიკის ოპერირების მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 10-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 10-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ თევზსაჭერი გემის ნავიგატორის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 36-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30<sup>1</sup>-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია                       | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | განხორციელების ადგილი        |
|---|----------------------|--------------------------------|------------------------------------------------------------|----------------------|---------------|-----------------------------|------------------------------|
| 1 | ამწის ოპერატორი      | მესამე                         | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში | 45                   | ქართული ენა   | 20                          | ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 |
| 2 | ამწის ოპერატორი      | მეოთხე                         | მეოთხე საფეხურის პროფესიული                                | 31                   | ქართული ენა   | 10                          | ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 |

|   |                                      |        |                                                                                   |    |                 |    |                                     |
|---|--------------------------------------|--------|-----------------------------------------------------------------------------------|----|-----------------|----|-------------------------------------|
|   |                                      |        | კვალიფიკაცია<br>ამწის ოპერირებაში                                                 |    |                 |    |                                     |
| 3 | შემდუღებელი                          | მესამე | მესამე საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>შედუღებაში                      | 37 | ქართუ<br>ლი ენა | 27 | ქ. ბათუმი,<br>რუსთაველ<br>ის ქ. №53 |
| 4 | შემდუღებელი                          | მეოთხე | მეოთხე საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>შედუღებაში                      | 42 | ქართუ<br>ლი ენა | 27 | ქ. ბათუმი,<br>რუსთაველ<br>ის ქ. №53 |
| 5 | პორტების<br>ლოგისტიკის<br>ოპერირება  | მეოთხე | მეოთხე საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>ლოგისტიკაში                     | 42 | ქართუ<br>ლი ენა | 10 | ქ. ბათუმი,<br>რუსთაველ<br>ის ქ. №53 |
| 6 | პორტების<br>ლოგისტიკის<br>მენეჯმენტი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>ლოგისტიკაში                     | 9  | ქართუ<br>ლი ენა | 10 | ქ. ბათუმი,<br>რუსთაველ<br>ის ქ. №53 |
| 7 | თევზსაჭერი<br>გემის<br>ნავიგატორი    | მეხუთე | მეხუთე საფეხურის<br>პროფესიული<br>კვალიფიკაცია<br>თევზსაჭერი გემის<br>ნავიგაციაში | 88 | ქართუ<br>ლი ენა | 36 | ქ. ბათუმი,<br>რუსთაველ<br>ის ქ. №53 |

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს წარუდგინა საბჭოს შუამდგომლობა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით, 21 სექტემბრის საბჭოს სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში. მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინების შეფასება.

საბჭოს სხდომას 17:15 საათზე შემოერთდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით აფრასიძე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის ხელმძღვანელობა განაგრძო დავით აფრასიძემ.

3. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ განაცხადა თვითაცილება დღის წესრიგით გათვალისწინებული, მე-3 საკითხის განხილვის დაწყებამდე, ვინაიდან იგი წარმოადგენდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს № 512 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანებაში, რის საფუძველზეც ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ამოღებულ იქნა მოდულები ქართული ენა A2 და ქართული ენა B1. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულო გახდა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ამასთან, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №475, 2017 წლის 7 აგვისტოს №480, 2017 წლის 9 აგვისტოს № 489, 2017 წლის 11 აგვისტოს №497, 2017 წლის 14 აგვისტოს № 502, 2017 წლის 16 აგვისტოს №№507, 508, 509, 510, 511, 2017 წლის 24 აგვისტოს №540 ბრძანებებით დამტკიცდა ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტები და ცვლილებები შევიდა დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებში. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მოახდინეს უკვე ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ოპტიმიზირებულ და შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტებთან და წარმოადგინეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ავტორიზაციის საბჭოზე გასატანად და გადაწყვეტილებებში ცვლილებების შესატანად. ნანი დალაქიშვილის განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ცვლილებები შესაბამისობაში იყო ზემოხსენებული ბრძანებებით განხორციელებულ ცვლილებებთან.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0



**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212693049) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:“

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**

